



**ANEU**

**ALLIANCE OF NEW  
EUROPE UNIVERSITIES**

**ახალი ევროპის უნივერსიტეტების  
ალიანსის**

**წესდება**

თბილისი  
2019 წელი

## პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

ალიანსი აერთიანებს აღმოსავლეთ ევროპის, პოსტსაბჭოთა სივრცის, შავი ზღვის აუზის ქვეყნების ანუ ე.წ. „ახალი ევროპის“ ქვეყნების უნივერსიტეტებს.

„ახალი ევროპა“ ისტორიული კანონზომიერებით ღირსეულად იკავებს ადგილს „ბებერი ევროპის“ გვერდით და ყველა მიმართულებით მკვიდრდება ერთიან ევროპულ ოჯახში.

ევროპულ ერთობაში ჰარმონიზების, თანასწორობის შორის თანასწორობა თვითდამკვიდრების პროცესი, მათ შორის, განათლების მიმართულებით საუკეთესო გამოცდილების გაზიარების, ურთიერთკოოპერირების გარეშე წარმოუდგენელია.

ალიანსის წევრები სრულად იზიარებენ ევროპულ ღირებულებებს და აღიარებენ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, რომელიც განმტკიცებულია 1948 წლის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით“, ასევე „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ ევროპული კონვენციით (რომი, 1950 წელი). ალიანსის წევრები აღიარებენ კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას განურჩევლად რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნისა.

ალიანსის წევრები პატივს სცემენ და აღიარებენ ყველა იმ სახელმწიფოს, რომელსაც მიეკუთვნებიან ალიანსის წევრები, ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს მათ საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

ალიანსის მიზანია ახალი ევროპის ქვეყნების უნივერსიტეტებს შორის შექმნას აკადემიური ურთიერთსოლიდარობის სივრცე, დიალოგის პლატფორმა, ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების, კვლევითი პროექტების განხორციელების, ახალი ტექნოლოგიების, ინოვაციების დანერგვის პოლიგონი.

### 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. ახალი ევროპის უნივერსიტეტების ალიანსი (Alliance of New Europe Universities) (შემდგომში - „ალიანსი“) არის უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი ან/და უმაღლესი განათლების, მეცნიერებისა და ინოვაციების განვითარების პრობლემატიკით დაკავებული/დაინტერესებული კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ფიზიკური პირების ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს კანონმდებლობის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მარეგულირებელი საერთაშორისო ხელშეკრულებების, შეთანხმებების, დეკლარაციების, კონვენციების, ამ ალიანსის წევრი უსდ-ების წესდებებისა და წინამდებარე წესდების საფუძველზე.
- 1.2. ალიანსი წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ წევრობაზე დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს - ა.(ა).ი.პ - ს.
- 1.3. ალიანსი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
- 1.4. ალიანსი მოქმედებს ნებაყოფლობითობის, წევრთა თანასწორუფლებიანობის, თვითმართველობისა და კანონიერების საფუძველზე.

- 1.5. ალიანსის საქმიანობა ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აგრეთვე იმ ქვეყნების ტერიტორიებზე, რომლებსაც ალიანსის წევრები მიეკუთვნებიან. ალიანსი უფლებამოსილია საქმიანობა განახორციელოს სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზეც ალიანსის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე.
- 1.6. ალიანსი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.
- 1.7. ალიანსს უფლება აქვს გაწევრიანდეს სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებში, ჰქონდეს პირდაპირი საერთაშორისო ურთიერთობები, დადოს შესაბამისი შეთანხმებები, მონაწილეობდეს იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოსა და იმ ქვეყნების კანონმდებლობას, სადაც ალიანსი ახორციელებს საქმიანობას, ისევე როგორც საერთაშორისო კანონმდებლობას.
- 1.8. ალიანსის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, 0171, კოსტავას 77ა.
- 1.9. ალიანსის ელექტრონული ფოსტის მისამართია: [info@aneu.ge](mailto:info@aneu.ge)
- 1.10. ალიანსს გააჩნია ბეჭედი, ბლანკი, ვებ-გვერდი და ლოგო.

## 2. მიზნები და საქმიანობა

- 2.1. ალიანსის მიზნებს და საქმიანობის სფეროს წარმოადგენს:
  - 2.1.1. **საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების კუთხით:**
    - 2.1.1.1. ხელი შეუწყოს ალიანსის წევრი უნივერსიტეტების ბოლონის პროცესში ინტეგრირებას, მათ გაწევრიანებას ევროპული სივრცის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხვა გაერთიანებებში.
    - 2.1.1.2. ხელი შეუწყოს ალიანსის წევრი უნივერსიტეტების პროგრამების, ფაკულტეტების, დეპარტამენტების გაწევრიანებას კონკრეტული უნივერსიტეტების პროფესიული ნიშნით მათთვის მნიშვნელოვან ეროპულ გაერთიანებებსა და კავშირებში.
    - 2.1.1.3. დაამყაროს განათლების ხარისხის განვითარების მიზნით მჭიდრო და საქმიანი კონტაქტები შესაბამის მარეგულირებელ ევროპულ „ცენტრებთან“, ასევე აკრედიტაციის დამოუკიდებელ სააგენტოებთან და ცალკეული ქვეყნების შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებთან.
    - 2.1.1.4. ინიცირება გაუკეთოს ალიანსის წევრი უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამებისათვის საერთაშორისო აკრედიტაციების მინიჭების პროცესს.
    - 2.1.1.5. ხელი შეუწყოს ევროკომისიის ინიციატივაში “Euraxess”-ში ალიანსის წევრი უნივერსიტეტების ჩართულობას;
    - 2.1.1.6. შეასრულოს აკადემიური მიმართულებით ლობისტის ფუნქცია იმ ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოებში, სადაც ალიანსი ახორციელებს საქმიანობას.
    - 2.1.1.7. მოიპოვოს ევროკავშირის და ევროსაბჭოს შესაბამის სტრუქტურებში სანდო პარტნიორის იმიჯი.
    - 2.1.1.8. უზრუნველყოს ალიანსის წევრ უნივერსიტეტებში უახლესი ევროპული საგანმანათლებლო სტანდარტებისა და მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.
    - 2.1.1.9. განახორციელოს განათლების ექსპორტის ხელშემწყობი აქტივობების დაგეგმვა და რეალიზაცია.
    - 2.1.1.10. იზრუნოს ალიანსის წევრი უნივერსიტეტების არეალის, ასევე ალიანსის პარტნიორი ორგანიზაციების ქსელის გაფართოებაზე.
  - 2.1.2. **განათლების ხარისხისა და სასწავლო პროგრამების განვითარების კუთხით:**
    - 2.1.2.1. ხელი შეუწყოს წევრ უნივერსიტეტებში განათლების ხარისხის ამაღლებასა და საუნივერსიტეტო პროგრამების გამრავალფეროვნებას.

- 2.1.2.2. ხელი შეუწყოს წევრ უნივერსიტეტებს გრანტების მოძიებაში, ამ მიმართულებით განახორციელოს რესურსების მობილიზაცია.
- 2.1.2.3. ხელი შეუწყოს ალიანსის წევრ უნივერსიტეტებს შორის ერთობლივი (დუალ) საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას.
- 2.1.2.4. მოახდინოს უწყვეტი განათლების, არაფორმალური განათლების, ასევე ელექტრონული/ დისტანციური განათლების სტიმულირება.
- 2.1.2.5. შესთავაზოს ალიანსის წევრ უნივერსიტეტთა ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახურებს აკადემიური პროგრამების ექსპერტიზა, ცალკეული მარეგულირებელი „ჩარჩო დოკუმენტების“ მიწოდება და ასევე ჩართულობა ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმარება/შემუშავების საქმეში.
- 2.1.2.6. დაეხმაროს ალიანსის წევრ უნივერსიტეტებს საავტორიზაციო/საკრედიტაციო პროცესის მოსამზადებელ ეტაპზე;
- 2.1.2.7. შეიმუშავოს ალიანსის წევრი უნივერსიტეტების, მათი ფაკულტეტების (სკოლების), ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამების რანჟირების მეთოდოლოგია.
- 2.1.2.8. მოახდინოს რანჟირების მეთოდოლოგიის იმპლემენტაცია;
- 2.1.2.9. უზრუნველყოს მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების შექმნა.
- 2.1.2.10. ხელი შეუწყოს არასახელმწიფო საგანმანათლებლო სექტორის განვითარებას.
- 2.1.2.11. განავითაროს ალიანსის წევრი უნივერსიტეტებისათვის ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიური პროგრამებისა და სერვისების მიწოდების შესაძლებლობები.
- 2.1.2.12. აწარმოოს საბიბლიოთეკო, სარედაქციო - საგამომცემლო საქმიანობა.
- 2.1.2.13. მოახდინოს განათლების კუთხით საუკეთესო გამოცდილების გამოკვეთა და გაზიარება.

**2.1.3. მეცნიერების განვითარების კუთხით:**

- 2.1.3.1. ხელი შეუწყოს წევრ უნივერსიტეტებში სამეცნიერო და კვლევით საქმიანობას, კვლევების ხარისხის ამაღლებას.
- 2.1.3.2. ხელი შეუწყოს კვლევებში ალიანსის წევრი უნივერსიტეტების სამეცნიერო პოტენციალის ჩართულობის გაზრდას; საგრანტო პროექტების ეფექტიან გამოყენებას; დონორთა ქსელის გაფართოებას.
- 2.1.3.3. დანერგოს მეცნიერების მენეჯმენტში ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) სტანდარტები, ბლოკჩეინი და 3D ტექნოლოგიები.
- 2.1.3.4. ხელი შეუწყოს მეცნიერების სფეროში ინოვაციების რეალიზაციისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის პროცესს.
- 2.1.3.5. დააწესოს ახალგაზრდა მეცნიერთათვის განკუთვნილი სტიპენდიები და იზრუნოს მათი კვლევითი ვიზიტების დაფინანსებაზე.
- 2.1.3.6. წახალისოს პროფესორ-მასწავლებლებისა და მკვლევარების აკადემიური მობილობის პროცესი.
- 2.1.3.7. ხელი შეუწყოს უნივერსიტეტების წვდომას “Elsevier”-ის სამეცნიერო ბაზებზე.
- 2.1.3.8. უზრუნველყოს მაღალი „იმპაქტ-ფაქტორის“ მქონე სამეცნიერო კრებულის გამოცემა.
- 2.1.3.9. უზრუნველყოს სამეცნიერო კონფერენციების, მათ შორის სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მაღალ დონეზე ჩატარება.
- 2.1.3.10. მოახდინოს მეცნიერების კუთხით საუკეთესო გამოცდილების გამოკვეთა და გაზიარება.

**2.1.4. მენეჯმენტის განვითარების კუთხით:**

- 2.1.4.1. ხელი შეუწყოს ალიანსის წევრ უნივერსიტეტებს შორის ადმინისტრაციული პერსონალის ურთიერთგაცვლასა და გადამზადებას მათ მიერ თანამედროვე მენეჯმენტის გაცნობისა და უკეთ ათვისების მიზნით.

- 2.1.4.2. უზრუნველყოს საუნივერსიტეტო მენეჯმენტში ევროპული სტანდარტების დამკვიდრება და შესაბამისი სერტიფიცირება.
- 2.1.4.3. უზრუნველყოს ალიანსის წევრი უნივერსიტეტების/ორგანიზაციების პერსონალისათვის ტრენინგების, სემინარების, კონფერენციების, კონკურსების და სხვა ღონისძიებათა ორგანიზება.
- 2.1.5. სტუდენტების ინტერესების დაცვის კუთხით:**
- 2.1.5.1. ხელი შეუწყოს ალიანსის წევრ უნივერსიტეტებს შორის სტუდენტების ურთიერთგაცვლას.
- 2.1.5.2. უზრუნველყოს სტუდენტების მიერ მოთხოვნილი სასწავლო კურსების (მათ შორის არჩევითი კურსების) გამრავალფეროვნება და მათთვის მიწოდება.
- 2.1.5.3. უზრუნველყოს ალიანსის წევრი უნივერსიტეტების სტუდენტთათვის სემინარების, ტრენინგების, კონფერენციების, ოლიმპიადების, კონკურსების და სხვა ღონისძიებების ორგანიზება.
- 2.1.5.4. მოიკვლიოს შრომის ბაზრის მოთხოვნები და დაგეგმოს შესაბამისი აქტივობები.
- 2.1.5.5. განავითაროს და განამტკიცოს კავშირები დამსაქმებლებთან.
- 2.1.5.6. ხელი შეუწყოს სტუდენტების ინფორმირებას შრომის ბაზრის დინამიკისა და პერსპექტივების შესახებ.
- 2.1.5.7. იზრუნოს ალიანსის წევრი უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა დასაქმების ხარისხობრივი მაჩვენებლების დინამიურ გაუმჯობესებაზე.
- 2.1.5.8. იზრუნოს ალიანსის წევრ უნივერსიტეტებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების პრობლემატიკის მოგვარებაზე.
- 2.1.6. საზოგადოებრივი ფუნქციის განვითარების კუთხით:**
- 2.1.6.1. უზრუნველყოს სამთავრობო სტრუქტურებსა და წევრ უნივერსიტეტებს შორის შექმნილ კონფლიქტურ სიტუაციებში მედიატორის ფუნქციის შესრულება.
- 2.1.6.2. ხელი შეუწყოს თავისუფალი აკადემიის პრინციპებზე დაყრდნობით უნივერსიტეტთაშორის დიალოგის პლატფორმის ჩამოყალიბება.
- 2.1.6.3. ხელი შეუწყოს წევრ-უნივერსიტეტებს შორის ინტერნაციონალიზაციის პროცესის განვითარებას.
- 2.1.6.4. ხელი შეუწყოს კულტურათაშორის დიალოგს.
- 2.1.6.5. შეიმუშაოს რეკომენდაციები ალიანსის წევრ უნივერსიტეტებში არსებული ზოგადი და სპეციფიკური ხასიათის პრობლემების გადასაჭრელად.
- 2.1.6.6. დაიცვას ალიანსის წევრი უნივერსიტეტების სამართლებრივი უფლებები. წარმოადგინოს და დაიცვას წევრი უნივერსიტეტების ინტერესები სასამართლოში, სახელისუფლებო ორგანოებში, ასევე სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, მათი მოთხოვნის საფუძველზე.
- 2.1.6.7. მოახდინოს ალიანსის წევრი უნივერსიტეტების შესაძლებლობების კონსოლიდირება რეგიონის ან/და ქვეყნის ცალკეული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად.
- 2.1.6.8. აწარმოოს სარეკლამო საქმიანობა როგორც ალიანსის, ისე მისი წევრი უნივერსიტეტების პოპულარიზაციისათვის. ამ მიზნით გამოსცეს და გაავრცელოს საინფორმაციო ლიტერატურა, მიიღოს მონაწილეობა განათლების პრობლემებსა და აქტუალურ საკითხებზე გამართულ ტელე/რადიო სადისკუსიო გადაცემებში, რუბრიკებში ბეჭდური პრესისთვის.
- 2.1.6.9. ითანამშრომლოს სამთავრობო, არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ბიზნეს სექტორთან, სამეცნიერო დაწესებულებებთან, დონორებთან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ალიანსის მიზნების მისაღწევად.
- 2.2. ალიანსი ეწევა სხვა საქმიანობას, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას და რომელიც პირდაპირ და/ან არაპირდაპირ ემსახურება ალიანსის მიზნების განხორციელებას.
- 2.3. ალიანსი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

2.4. ალიანსის (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის) საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

### **3. ალიანსის დამფუძნებლები**

3.1. ალიანსის დამფუძნებლები არიან:

3.1.1. კონსტანტინე თოფურია - შპს საქართველოს უნივერსიტეტი

3.1.2. რ. მაიკლ ქაუგილი - შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

3.1.3. მამუკა თავხელიძე - შპს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი

3.2. ალიანსის დამფუძნებელს უფლება აქვს მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს ალიანსის საქმიანობაში, ისარგებლოს ამ წესებით და მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებით.

3.3. დამფუძნებელი ვალდებულია კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობები, იზრუნოს ალიანსის განვითარებაზე და მის მიერ დასახული მიზნების მიღწევაზე.

### **4. ალიანსის წევრობა და უფლება-მოვალეობანი**

4.1. ალიანსის წევრი შეიძლება გახდეს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი კერძო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც არის მის ქვეყანაში დადგენილი წესისამებრ ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლოს დაწესებულება, ამასთან იზიარებს და მხარს უჭერს ალიანსის წესდებას.

4.2. ალიანსის წევრები ასევე შეიძლება გახდნენ ის კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირები და ფიზიკური პირები, რომლებიც უმაღლესი განათლების, მეცნიერებისა და ინოვაციების განვითარების პრობლემატიკით არიან დაკავებულნი ან დაინტერესებულნი, ამასთანავე იზიარებენ და მხარს უჭერენ ალიანსის წესდებას.

4.3. გადაწყვეტილებას ალიანსში ახალი წევრების მიღების და ალიანსიდან გარიცხვის შესახებ იღებს რექტორთა საბჭო ხმათა უმრავლესობით.

4.4. წევრად სუბიექტის მიღება ხდება ალიანსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომლითაც ასევე განისაზღვრება საწევრო გადასახადის ოდენობა.

4.5. **ალიანსის წევრს უფლება აქვს:**

4.5.1. დადგენილი წესით მონაწილეობა მიიღოს ალიანსის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში, ალიანსის გეგმების, პროგრამების, პროექტებისა და სხვა ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში;

4.5.2. აირჩიოს და არჩეულ იქნას ალიანსის მართვის ორგანოებში;

4.5.3. გაეცნოს ალიანსის მმართველ ორგანოთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;

4.5.4. ისარგებლოს ალიანსის წევრთათვის დადგენილი შეღავათებით;

4.5.5. გაეცნოს საფინანსო და სხვა დოკუმენტაციას;

- 4.5.6. გავიდეს ალიანსიდან პირადი განცხადების საფუძველზე.
- 4.6. **ალიანსის წევრი ვალდებულია:**
- 4.6.1. დაიცვას ალიანსის წესდება და ალიანსის საქმიანი რეპუტაცია;
- 4.6.2. ხელი შეუწყოს ალიანსის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას;
- 4.6.3. შეასრულოს ალიანსის მმართველი ორგანოების გადაწყვეტილებები;
- 4.6.4. არ გაახმაუროს ალიანსის საქმიანობასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია;
- 4.6.5. აუნაზღაუროს ალიანსს მისი ბრალეული ქმედების შედეგად მიყენებული ზიანი;
- 4.6.6. გადაიხადოს საწევრო გადასახადი დადგენილი წესის მიხედვით.
- 4.7. **წევრობის შეწყვეტა:**
- 4.7.1. ალიანსის წევრი შეიძლება გაირიცხოს ალიანსიდან:
- ა) ალიანსის წესდების უხეში დარღვევისას;
  - ბ) უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის გაუქმებისას (ასეთი გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) წლის ვადაში);
  - გ) საწევრო შენატანის გადახდის 6 (ექვსი) თვეზე მეტი ვადით დაგვიანების შემთხვევაში;
  - დ) ალიანსის საქმიანი რეპუტაციის შელახვისას;
  - ე) სხვა მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას, რომელსაც გარიცხვის ტოლფასად მიიჩნევა რექტორთა საბჭო.

## 5. ალიანსის მართვა

- 5.1. ალიანსის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს დამფუძნებელთა კრება.
- 5.2. დამფუძნებელთა კრებაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ყველა დამფუძნებელს. დამფუძნებელთა კრება ტარდება საჭიროებისამებრ, მინიმუმ წელიწადში ერთხელ მაინც. მისი მოწვევა შეუძლია ერთ-ერთი დამფუძნებელს. დამფუძნებელთა კრების მოწვევის შესახებ დამფუძნებელს/დამფუძნებლებს შეიძლება ეცნობოთ წერილობით, მათ შორის ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.
- 5.3. დამფუძნებელთა კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დამფუძნებელთა უმრავლესობა. კრებას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.
- 5.4. დამფუძნებელთა კრება ყველა საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით.
- 5.5. დამფუძნებელთა კრების კომპეტენციები:
- 5.5.1. ალიანსის წესდების დამოწმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ახალი რედაქციით დამტკიცება;
  - 5.5.2. ალიანსის პრეზიდენტის არჩევა და ვადამდე გათავისუფლება.
  - 5.5.3. საზოგადოების მიზნების რეალიზებისათვის სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა.
  - 5.5.4. საზოგადოების რეორგანიზაცია;
  - 5.5.5. საზოგადოების ლიკვიდაცია;
- 5.6. ალიანსის მართვასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, მათ შორის მმართველ ორგანოთა შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ალიანსის მართვის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს დამფუძნებელთა კრება ხმათა უმრავლესობით. მართვის დებულებაში ცვლილებების/დამატებების შეტანის, ახალი რედაქციით დამტკიცების წესი განისაზღვრება მართვის დებულებით.
- 5.7. ალიანსის მუდმივმოქმედი წარმომადგენლობითი ორგანოა რექტორთა საბჭო. რექტორთა საბჭოს საქმიანობას აწესრიგებს ალიანსის მართვის დებულება.

## 6. ალიანსის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- 6.1. საზოგადოების ხელმძღვანელობით/წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებს ალიანსის პრეზიდენტი. ალიანსის პრეზიდენტი არის კონსტანტინე თოფურია პ/ნ 01026009059.
- 6.2. პრეზიდენტი:
  - 6.2.1. მოქმედებს ალიანსის სახელით და წარმოადგენს მესამე პირებთან ურთიერთობაში.
  - 6.2.2. ხელს აწერს ალიანსის სახელით დადებულ ხელშეკრულებებს, საზოგადოების ოფიციალურ და ფინანსურ დოკუმენტებს.
  - 6.2.3. უზრუნველყოფს ალიანსის საფინანსო საქმიანობის კანონიერებას.
  - 6.2.4. ასრულებს ამ წესდებით დადგენილ სხვა ფუნქციებს.
- 6.3. პრეზიდენტი აირჩევა დამფუძნებელთა კრების მიერ 10 (ათი) წლის ვადით. მისი უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგაც, ახალი პრეზიდენტის არჩევამდე;
- 6.4. პრეზიდენტის ვადამდე გათავისუფლების უფლება აქვს დამფუძნებელთა კრებას.
- 6.5. პრეზიდენტის საკუთარი განცხადებით გადადგომის, ან უფლებამოსილების სხვაგვარად ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, დამფუძნებელთა კრება ერთი თვის ვადაში ირჩევს ახალ პრეზიდენტს.

## 7. ალიანსის ქონება

- 7.1. ალიანსის შემოსავლის წყაროებია:
  - 7.1.1. საწევრო შენატანები;
  - 7.1.2. გრანტით მიღებული ქონება და სახსრები;
  - 7.1.3. შემოწირულობები;
  - 7.1.4. სესხით ან კრედიტით მიღებული სახსრები;
  - 7.1.5. ალიანსის მიზნებისა და ამოცანების განხორციელების მიზნით საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები.
- 7.2. ალიანსის ქონება გამოიყენება მხოლოდ ალიანსის მიზნების მისაღწევად და ამოცანების განსახორციელებლად.
- 7.3. ალიანსი თავისი წევრის (წევრების), აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია.
- 7.4. ალიანსის ვალდებულებისათვის მისი წევრები პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს ალიანსი მისი წევრების ვალდებულებებისათვის.

## 8. ალიანსის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

- 8.1. ალიანსის რეორგანიზაცია (შეერთება, მიერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 8.2. ალიანსის ლიკვიდაცია ხდება წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში, მიზნის მიღწევის შედეგად, გაკოტრების ან რეგისტრაციის გაუქმებისას.
- 8.3. ლიკვიდაციის დროს უნდა დამთავრდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება



გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლები. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:

ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;

ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირს.

8.4. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

8.5. თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებმა არ განსაზღვრეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორც ლიკვიდირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ.

8.6. ინფორმაცია ლიკვიდაციის შესახებ ექვემდებარება გამოქვეყნებას. ქონება შეიძლება განაწილდეს გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ.

8.7. გადაწყვეტილებას ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის თაობაზე იღებს დამფუძნებელთა კრება.

8.8. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

## 9. დასკვნითი დებულებები

9.1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის მასზე ხელმოწერის მომენტიდან.

9.2. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნება ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულების ნამდვილობაზე.

9.3. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

## 10. გარდამავალი დებულებები

10.1. წესდების პრეამბულა წარმოადგენს მის შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს, მისი შესრულება სავალდებულოა ალიანსის არსებობის განმავლობაში. ალიანსის ნებისმიერი გადაწყვეტილება, დადგენილება ან დოკუმენტი, რომელიც არღვევს პრეამბულით გათვალისწინებულ დებულებებს ითვლება ანულირებულად.

- 10.2. 2019 წლის 1 მარტის მონაცემებით კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციაში გაწევრიანებული ყველა უნივერსიტეტი ავტომატურად იძენს ახალი ევროპის უნივერსიტეტების ალიანსის წევრის სტატუსს.
- 10.3. 2019 წლის 1 მარტის მონაცემებით კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის მიერ გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით ნაკისრი ვალდებულებები გადადის ახალი ევროპის უნივერსიტეტების ალიანსის პასუხისმგებლობაში.
- 10.4. 2019 წლის 1 მარტის მონაცემებით კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის ადმინისტრაციის ძველ შემადგენლობასთან შრომითი ურთიერთობები წყდება კანონით დადგენილი წესით.